სოციალური მუშაკების როლი და გამოწვევები ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციასა და რეაგირებაში

შესავალი

ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია და მასზე რეაგირება საქართველოს სოციალური დაცვის სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. სოციალური მუშაკები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მსხვერპლთა იდენტიფიცირებაში, ფსიქოსოციალურ მხარდაჭერასა და სერვისების კოორდინაციაში, რაც მოიცავს როგორც პრევენციული ღონისძიებების გატარებას, ისე კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებულ რეაგირებას.

მიუხედავად სოციალური მუშაობის დეცენტრალიზაციის პოლიტიკისა და მუნიციპალიტეტებში ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილებების შექმნისა, ფინანსური რესურსების სიმცირემ, ინსტიტუციურმა სისუსტემ და კოორდინაციის არასათანადო ხარისხმა ვერ უზრუნველყო სოციალური სერვისების ეფექტიანად გაძლიერება ადგილობრივ დონეზე.

მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა სოციალური მუშაკების თანამშრომლობის სირთულეები სკოლებთან, ბაღებთან, სამედიცინო დაწესებულებებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ძალადობის რისკის ქვეშ მყოფი ჯგუფების დროულ იდენტიფიცირებასა და სერვისების ეფექტიან მიწოდებას. ფინანსური და ტრანსპორტირების სირთულეები, ასევე პროფესიული გადატვირთვა განსაკუთრებით მწვავედ აისახება რეგიონებში სოციალური მუშაკების საქმიანობაზე, რაც კიდევ უფრო ამცირებს მათი მუშაობის ეფექტიანობას.

მიუხედავად გამოწვევებისა, სოციალური მუშაკები ხშირად ახერხებენ ბენეფიციართან ნდობის დამყარებას და ინდივიდუალურ საჭიროებებზე რეაგირებას. არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კოორდინაციის გაუმჯობესებასა და მომსახურების ხარისხის ამაღლებას.

ანგარიში ეფუძნება ქალთა ფონდი „სოხუმის“ მიერ 2024 წლის მაის-ოქტომბერში ჩატარებულ მონიტორინგს, რომელშიც იმერეთისა და სამეგრელოს მუნიციპალიტეტების სოციალური მუშაკები (ქუთაისი, ხონი, ბაღდათი, სამტრედია, ზუგდიდი, წალენჯიხა) მონაწილეობდნენ და გააზიარეს თავიანთი გამოცდილება, სირთულეები და პოზიტიური პრაქტიკა.

სამართლებრივი ჩარჩო

სტამბულის კონვენცია (მუხლი 20.2) - კონვენცია ავალდებულებს ხელმომწერ ქვეყნებს, უზრუნველყონ მსხვერპლისათვის სპციალურ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა. აღნიშნულია, რომ სოციალურ სამსახურებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი რესურსები და მომზადებული სპეციალისტები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში გადაამისამართებენ ბენეფიციარებს შესაბამის მომსახურებებში.

„სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონი (მუხლი 16,ი,კ,ლ)

სოციალური მუშაკები უზრუნველყოფენ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის თავშესაფრის სერვისებზე წვდომას, ორგანიზებას უწევენ ღონისძიებებს მათი ინტეგრაციისა და მხარდაჭერისთვის და იღებენ ზომებს ქალთა ძალადობისგან დასაცავად, ზრუნავენ მათ რეაბილიტაციასა და მონიტორინგზე.

“ქალთა მიმართ ძალადობის და/ან ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ” კანონი (მუხლი 8)

ძალადობის შემთხვევების ანალიზი, მსხვერპლთა იდენტიფიკაცია და ფსიქოსოციალური მხარდაჭერა; მოძალადის რისკის შეფასება და სარეაბილიტაციო პროგრამებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ბავშვების დაცვა საჭიროების შემთხვევაში.

ეროვნული რეფერირების მექანიზმი (მუხ. 6.9. და მუხლი 6.13)

სოციალური მუშაკების მიერ ოჯახებში ვიზიტისას ძალადობის პრევენციისა და მხარდაჭერის სერვისებზე ინფორმაციის მიწოდება (მუხ. 6.9); მუნიციპალიტეტებთან ერთად ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირება და რეაგირება.

„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა:

სპეციალური სახელმძღვანელო წესების შემუშავება და დანერგვა (2.1.5); ოჯახში ძალადობის საკითხებზე: მსხვერპლის გამოვლენის, რეაგირებისა და რეფერალის უნარების გაძლიერება (3.1.7)

მიგნებები
გამოწვევები

➢ სოციალური მუშაკების გადამზადება და სპეციალიზაცია

- მონიტორინგის შედეგებით გამოიკვეთა, **რომ სოციალური მუშაკები რეგულარულად გადიან ტრენინგებს** (რომელიც ტარდება სახელმწიფოს, ასევე სოციალურ მუშაკთა ასოციაციის და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ), **თუმცა მათი გადამზადება ძირითადად ზოგადი ხასიათისაა და არ ფოკუსირდება ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და რეაგირების საკითხებზე.** მათი თქმით, სპეციალიზაციის არარსებობა აფერხებს მათ შესაძლებლობას, უფრო ეფექტიანად და სიღრმისეულად იმუშაონ კონკრეტულ შემთხვევებზე;
- **გარდა ამისა, სხვა რეფერირების სუბიექტების (პედაგოგები, სამედიცინო მუშაკები) პროფესიული გადამზადების ნაკლებობა და მათ მიერ საკუთარი როლის არასაკმარისი გააზრება** კიდევ ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. რეფერირების აქტორების მხრიდან რეაგირების არარსებობა ან ფაქტების დამალვის მცდელობა, **დამატებით ტვირთად აწვება სოციალურ მუშაკებს და ართულებს ეფექტიანი დახმარების პროცესს.**

➢ ინტეგრირებული ფუნქციები, მრავალმხრივი ვალდებულებები, კადრების სიმცირე, და პროფესიული გადაწვა

- მონიტორინგის შედეგებით გამოიკვეთა, რომ საქართველოში **სოციალური მუშაკების მრავალმხრივი ვალდებულებები, ინტეგრირებული ფუნქციები და კადრების სიმცირე სისტემის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს.** საერთაშორისო პრაქტიკისგან განსხვავებით, სადაც სოციალური მუშაკები კონკრეტულ მიმართულებებზე არიან ფოკუსირებულნი, საქართველოში **სოციალურ მუშაკს ერთდროულად რამდენიმე კომპლექსური ფუნქციის შესრულება უწევს,** რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მათი მუშაობის ეფექტიანობას და იწვევს პროფესიულ გადაწვას.
- **კადრების სიმცირისა და გადინების პირობებში, სოციალური მუშაკები ხშირად იძულებულნი არიან, ერთდროულად რამდენიმე მუნიციპალიტეტში იმუშაონ.** მსგავსი გარემოებები დამატებით ტვირთად აწვება მათ და ამცირებს მათ შრომისუნარიანობას.

➢ ანაზღაურებისა და შრომითი პირობების გაუმართაობა

- სოციალური მუშაკების **ანაზღაურება არ შეესაბამება მათ მიერ გაწეული შრომის მოცულობასა და სირთულეს. დაბალი ხელფასი, ტრანსპორტირების პრობლემები და სამუშაო პროცესისთვის საჭირო რესურსების ნაკლებობა მნიშვნელოვნად ზღუდავს მათი საქმიანობის ეფექტიანობას.** აღნიშნული გამოწვევები, განსაკუთრებით რეგიონებში, კიდევ უფრო ართულებს ბენეფიციარებთან მუშაობის პროცესს და მომსახურების ხარისხს.

„ჩვენ სპეციალიზაცია ოჯახში ძალადობის კუთხით არ გაგვივლია. კი, გადამზადება გვაქვს გავლილი, მაგრამ ეს ზოგადი ტრენინგებია და არა სპეციალური პროგრამები, რომლებიც ამ კონკრეტულ მიმართულებას შეეხება.“ - სოციალური მომსახურეობის სააგენტოს სამეგრელოს სოციალური მუშაკი

„შეიძლება სოციალურ მუშაკებს ბევრი ტრენინგი გვაქვს გავლილი, მაგრამ მაინც ცალმხრივია ქმედება. ტვირთი ამ საკითხთან დაკავშირებით მეტი მოდის სოციალურ მუშაკზე და არა სხვა აქტორებზე, მაგალითად, თუნდაც პედაგოგებზე, რაზედაც დიდი პრეტენზია მაქვს მე პირადად. იმიტომ, რომ ხშირად ხდება ფაქტების დამალვა... მედიცინაც ძალიან შორს არის თემიდან, ექიმები ამ საკითხებზე ან საქმის კურსში არ არიან, ან არ უნდათ რეაგირება იქონიონ. ვერანაირ მხარდაჭერას და ქმედებას მათი მხრიდან ვერ ვხედავ“ - სოციალური მომსახურეობის სააგენტოს სამეგრელოს სოციალური მუშაკი

„როდესაც უცხოეთის პრაქტიკას ვეცნობი, ვხედავ, რომ იქ არიან სპეციალიზებული სოციალური მუშაკები, რომლებიც კონკრეტულ მიმართულებაზე მუშაობენ. ძალიან კარგია, როდესაც სპეციალიზაცია აქვს სოციალურ მუშაკს და სხვადასხვა მიმართულებით არ მუშაობს. შესაბამისად, ის უფრო ეფექტიანად მუშაობს და დიდხანს რჩება სისტემაში“ - სოციალური მომსახურეობის სააგენტოს სამეგრელოს სოციალური მუშაკი

მიგნებები
გამოწვევები

- **რეგულარული ვიზიტები ბენეფიციარების ოჯახებში, რაც სოციალური მუშაობის ძირითადი ნაწილია, ხშირად ვერ ხორციელდება ტრანსპორტის უქონლობის გამო.** ეს ფაქტორი დამატებით ამცირებს მომსახურების ეფექტიანობას და სერვისების დროულ მიწოდებას. სოციალური მუშაკები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ **ტრანსპორტირების ხელშეწყობა მერის წარმომადგენლების ან პოლიციის ჩართულობით მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევებში ხორციელდება.** მიუხედავად ამისა, სისტემური მხარდაჭერის არარსებობა კვლავ მნიშვნელოვან დაბრკოლებად რჩება.

➢ ბენეფიციარების გადაჭარბებული დამოკიდებულება სოციალურ მუშაკებზე

- **ძალადობა გამოვლილ ქალებს ხშირად აკლიათ პროაქტიული ჩართულობა ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების პროცესში.** მათი დამოკიდებულება სოციალურ მუშაკებზე მოიცავს არა მხოლოდ ფსიქოსოციალურ მხარდაჭერას, არამედ მათი ჩართულობის მოთხოვნას ისეთ საკითხებში, რომელთა შესრულება მათ დამოუკიდებლადაც შეუძლიათ, მაგალითად, სამართალდამცავ ორგანოებთან დაკავშირება. ეს დამოკიდებულება, ერთი მხრივ, სოციალური მუშაკებისადმი ნდობის მაღალ დონეს უსვამს ხაზს, თუმცა, მეორე მხრივ, ეს დამოკიდებულება მათ დამატებით დატვირთვას და პროფესიულ გადაწვას განაპირობებს.

➢ რეფერირების სუბიეტების პასიურობა და სოციალური მუშაკების გადატვირთვა

- მონიტორინგის შედეგებმა ცხადყო, რომ **სოციალური მუშაკების საქმიანობას დამატებით ართულებს სხვა უწყებების, განსაკუთრებით სააღმზრდელო და სამედიცინო დაწესებულებების, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების (მერის წარმომადგენლების) პასიურობა და ოფიციალური პროცესების თავიდან აცილების ტენდენცია.** მათ მიერ ინფორმაციის დამალვა ან ზეპირსიტყვიერი კომუნიკაციის უპირატესობა ხშირად აფერხებს ძალადობის პრევენციისა და რეაგირების პროცესებს;

- სოციალური მუშაკები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს დამოკიდებულება სისტემურ პრობლემას ქმნის, რადგან **ინფორმაცია, რომელიც სუბიექტების მხრიდან დროულად უნდა მიეწოდებოდეთ, ან შეფერხებით ხდება, ან არ ხდება სრულყოფილად.** ამ ყველაფერს ემატება ისიც, რომ პასუხისმგებლობების დიდი ნაწილი მხოლოდ სოციალური მუშაკების მხრებზე გადადის.

„ტრანსპორტირების პრობლემა რჩება გამოწვევად, ისევე როგორც კადრების ნაკლებობა. ბენეფიციარი ჩვენთან შეიძლება მოვიდეს ერთხელ, ჩვენ კი მრავალი ვიზიტი უნდა განვახორციელოთ, რაც სისტემური ხასიათის უნდა იყოს. ამისთვის სათანადო ტრანსპორტი არ გვაქვს... ბენეფიციარზე მეტად ჩვენ ვართ ცუდ დღეში, როდესაც სოფლებში გვიწევს სიარული. თუმცა, ძალიან გვეხმარებიან მერის წარმომადგენლები. თუ ჩვენი ჩართულობა უკვე გადაწყვეტილია, ტრანსპორტით გვიწყობენ ხელს.“ - სოციალური მომსახურეობის სააგენტოს სამეგრელოს სოციალური მუშაკი

„თუ საქმე არის პოლიციასთან ერთად და საჭიროება გვაქვს, მათ ტრანსპორტირებით უზრუნველგვყოფენ. ოჯახებში ვიზიტი მინიმუმ თვეში ერთხელ მაინც უნდა იყოს, კრიზისულ სიტუაციებში კი მეტჯერ გვიწევს წასვლა“ - სოციალური მომსახურეობის სააგენტოს სამეგრელოს სოციალური მუშაკი

„მერის წარმომადგენლებს ზეპირსიტყვიერი ინფორმაციის მიწოდება ურჩევნიათ და წერილობითი მოთხოვნის დროს თავს იკავებენ. იგივე ხდება ბაღებში, სკოლებში და სამედიცინო დაწესებულებებში. ითხოვენ, რომ ჩვენგან იყოს მაქსიმალური რეაგირება, მაგრამ როდესაც მათი მხარდაჭერა გვჭირდება, უკან იხევენ“- სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მუშაკი.

„ჩვენ მაქსიმუმს ვაკეთებთ, მაგრამ ძალადობის ფაქტებზე რეაგირებისას ყველაფერს ჩვენგან მოითხოვენ – ფსიქოლოგიც ჩვენ უნდა ვიყოთ, ადვოკატირებაც გავაკეთოთ, და ვიზიტებიც ჩვენ უნდა განვახორციელოთ. ძალიან ძნელია, როცა ყველას მხრიდან შენსკენ იშვერენ ხელს.“ - სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მუშაკი.

მიგნებები
გამოწვევები

➢ ძალადობაზე ეფექტიანი რეაგირების ხელისშემშლელი ფაქტორები

- სოციალური მუშაკების თქმით, **ძალადობაგამოვლილი ქალების გადაწყვეტილებების მიღებას თავი დააღწიონ ძალადობრივ გარემოს, ხელს უშლის სისტემური და ემოციური ბარიერები.** მიუხედავად სოციალური მუშაკების ძალისხმევისა, ბენეფიციარებს ხშირად აკლიათ ნდობა სამართალდამცავი და სოციალური დაცვის სისტემებისადმი, რაც მათ შიშსა და დაუცველობის განცდას კიდევ უფრო ამძაფრებს.

ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორებია:

- სამართალდამცავი ორგანოებისადმი დაბალი ნდობა;
- არასაკმარისი თანადგომის ქსელის არსებობა;
- მოძალადეზე ფინანსურად და საცხოვრებელით დამოკიდებულება;
- შიში, რომ საზოგადოებრივი და ოჯახური წნეხის ფონზე ვერ შეძლებენ დამოუკიდებელ ცხოვრებას.

„როდესაც კონკრეტულად კონსულტაციისთვის მოდის ჩვენთან ქალბატონი და ჩვენგან იღებს მრავალმხრივ ინფორმაციას, ხშირ შემთხვევაში იკავებს თავს [მოქმედებისგან]... ბარიერი მათი მერყეობაა. არ აქვთ ნდობა სამართალდამცავი სისტემის მიმართ, და ეშინიათ, რამდენად დაიცავენ მათ უფლებებს... ხშირია შემთხვევა, როდესაც მსხვერპლი ქალი ამბობს, რომ არ სურს ქმარს, შვილების მამას, პრობლემა შეექმნას. არიან ისეთებიც, რომლებსაც არ აქვთ თანადგომის ქსელი და არ იციან, განშორების შემდეგ სად წავიდნენ და როგორ გააგრძელონ ცხოვრება“ - სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მუშაკი.

- სოციალური მუშაკების საქმიანობა, რომელიც რთულ სამუშაო პირობებთან ერთად, **ხშირად მოიცავს მძიმე და ემოციურად დატვირთულ ქეისებზე მუშაობას** (სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან და რთულ ოჯახურ სიტუაციებთან), რაც მნიშვნელოვნად **ზრდის პროფესიული გადაწვის რისკს.** მიუხედავად ამ გამოწვევებისა, **სოციალური მუშაკებისთვის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის და მხარდაჭერის მექანიზმები მინიმალურია,** რაც კიდევ უფრო ამწვავებს პროფესიულ გადაწვას და ხელს უწყობს კადრების გადინებას.

▪ სოციალური მუშაკების „დასკვნის“ შესაძლო გამოყენება, მუნიციპალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად

თვისებრივმა კვლევამ აჩვენა, რომ მუნიციპალიტეტებში, სადაც მსხვერპლის სტატუსის დადგენა კვლავ სერვისებზე ხელმისაწვდომობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, სოციალური მუშაკის დასკვნა შესაძლოა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გახდეს მუნიციპალური სოციალური დახმარების პროგრამებში ჩასართავად, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ქალები სამართალდამცავ ორგანოებთან და კრიზისულ ცენტრებში მიმართვას თავს არიდებენ.

სოციალური მუშაკების პოზიტიური გამოცდილება

- თანამშრომლობა მუნიციპალურ ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილებებთან, რაც ხელს უწყობს ბენეფიციართა მხარდაჭერის ეფექტიანობას;
- მერის წარმომადგენლების და პოლიციის მხარდაჭერა ტრანსპორტირების და კრიზისულ შემთხვევებზე რეაგირების დროს;
- ქალების თვითშეფასების გაძლიერება ფსიქოსოციალური მხარდაჭერისა და ინფორმაციის მიწოდების გზით;
- მოწყვლადი და რისკ-ჯგუფის ოჯახებში ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლება და ბენეფიციართა გადაწყვეტილების მიღების უნარების გაძლიერება;
- არასამთავრობო ორგანიზაციებთან პარტნიორობა, რაც ამარტივებს ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილებას.

„არავის ახსოვს, რომ ჩვენც გვინდა ენერჯაიზერები - ემოციური ვენტილაცია აუცილებელია. ეს ყველა სოციალურ მუშაკს სჭირდება პერიოდულად. რთულია, როცა ჩვენი რეალობა მუდმივ სტრესსა და ემოციურ დაძაბულობას მოიცავს, ხოლო მხარდაჭერის მექანიზმები არ არსებობს“- სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მუშაკი.

რეკომენდაციები:

- სოციალური მუშაკებისთვის **სპეციალიზებული ტრენინგები და სფეროების დიფერენცირება** (ქალთა ძალადობა, ბავშვთა დაცვა, მოხუცთა მხარდაჭერა);
- **მუნიციპალურ სერვისებზე წვდომის საფუძვლად სოციალური მუშაკების დასკვნის გამოყენება;**
- **თანამშრომლობის მექანიზმების გაძლიერება** სკოლებთან, სამედიცინო დაწესებულებებთან და სხვა რეფერირების სუბიექტებთან;
- სოციალური მუშაკებისთვის **სამუშაო პირობების გაუმჯობესება და ემოციური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.**